ქ. თბილისი „31“ ოქტომბერი 2016 წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1.ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამაზ მოდებაძეს სახით და მეორე მხრივ, ი/მ მერაბ ფოთელიძე (შემდგომში - „მიმწოდებელი“; ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით და სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 23 სექტემბრის №04-491/ო ბრძანების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ საჭიროებისთვის, „შემსყიდველის“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და მასში შემავალი რაიონული განყოფილებების ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი, ამორტიზებული და შემდგომში გამოყენებისათვის უვარგისი ინვენტარის (შემდგომში - „ინვენტარის არაუმეტეს 510 კგ.“) განადგურება-დამარხვის (შემდგომში - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV კოდი 90500000; 90513000) გამარტივებული შესყიდვა.

2.2. „ინვენტარის“ დასახელება, საზომი ერთეული და რაოდენობა მოცემულია N1 და N2 დანართებში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გონიოს ნაგავსაყრელი.

4.2. „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტისა და უზუსტობის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება მომსახურების დასრულებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ნაცვლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ინვოისი და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო თუ „მიმწოდებელი” არ არის დღგ–ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს ინვოისი და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას, ზედმიწევნით დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

7.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი” ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2.2. დროულად უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ ხელშეკრულების N1 და N2 დანართებში ჩამოთვლილი „ინვენტარის“ მიტანა შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გონიოს ნაგავსაყრელი.

7.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების
პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

10.ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული (კალენდარული) დღისათვის.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით ანაზღაურება.

13.4. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე" სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის დებულების" მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემული მინდობილობის საფუძველზე განსაზღვრული პირი.

14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

16.2. ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.

16.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

16.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

16.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

16.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. დასკვნითი დებულებები

18.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

18.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

18.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

18.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

18.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

18.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

18.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

18.10. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

19. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ სოციალური მომსახურების საგენტო,	ი/მ მერაბ ფოთელიძე
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.N144	ქ. ბათუმი, ი. კობალაძის ქ. N6
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	ს.ს. „თიბისი ბანკი": TBCBGE 22
	ანგ. GE28TB4476745062122339
	ს/კ N61001047938
თამაზ მოდებაძე,	მერაბ ფოთელიძე
დირექტორის მოადგილე	

დანართი N1

	ჩამოსაწერი- დაზიანებული ინვენტარის ჩამონათვალი				
			ძირითადი საშუალებები		
N	დასახელება	ინვენტარის N	საზ. ერთ	რაოდენობა	მდებარეობა
1	მობილური ტელ. "სამსუნგი"	020273	ც	1	აჭარის ფილიალი
2	უპს მილენიუმი 650	020388	ც	1	აჭარის ფილიალი
3	პრინტერი კანონი	020037	ც	1	აჭარის ფილიალი
4	პროცესორი HP7800	030829	ც	1	აჭარის ფილიალი
5	პროცესორი HP 2300	020197	ც	1	აჭარის ფილიალი
6	უპს მილენიუმი 650	020542	ც	1	აჭარის ფილიალი

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილე

მერაბ ფოთელიძე

დანართი N2

ჩამოსაწერი დაზიანებული ინვენტარის ჩამონათვალი

საცნობარო მუხლი (მცირეფასიანი)

N	დასახელება	ინვენტარის N	საზ. ერთ	რაოდენობა	მდებარეობა
1	ფარდები ბარხატის	046473–046474	ც	2	აჭარის ფილიალი
2	პროჟექტორი	046459	ც	1	აჭარის ფილიალი
3	ბრა	046494	ც	1	აჭარის ფილიალი
4	ბრა	046495	ც	1	აჭარის ფილიალი
5	ბრა	046496	ც	1	აჭარის ფილიალი
6	კედლის თარო	046500	ც	1	აჭარის ფილიალი
7	კედლის თარო	046501	ც	1	აჭარის ფილიალი
8	კედლის თარო	046502	ც	1	აჭარის ფილიალი
9	ქსელის კაბელი 05მმ		ც	1	აჭარის ფილიალი
10	გარეთ დასადგმელი ურნა	046518	ც	1	აჭარის ფილიალი
11	ტელეფონის აპარატი	020409	ც	1	აჭარის ფილიალი
12	ტრანსფორმატორი	046532	ც	3	აჭარის ფილიალი
13	ავტო.ამომრთველი	046542	ც	1	აჭარის ფილიალი
14	მოკლე კიბე	046642	ც	1	აჭარის ფილიალი
15	ტელეფონი	046557	ც	1	აჭარის ფილიალი
16	კედლის თარო	046604	ც	1	აჭარის ფილიალი
17	კაბელი UTB		ც	1	აჭარის ფილიალი
18	კარადა	020138	ც	1	აჭარის ფილიალი
19	წიგნის თარო	020081	ც	1	აჭარის ფილიალი
20	წიგნის თარო	020100	ც	1	აჭარის ფილიალი
21	წიგნის თარო	020101	ც	1	აჭარის ფილიალი
22	სარკე	046724	ც	1	აჭარის ფილიალი
23	UPS	020056	ც	1	აჭარის ფილიალი

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილე

მერაბ ფოთელიძე

31.10.2016წ.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საჭიროებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და მასში შემავალი რაიონული განყოფილებების ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი, ამორტიზებული და შემდგომში გამოყენებისათვის უვარგისი ინვენტარის განადგურება-დამარხვის გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ N35010401/165 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე – 8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

დირექტორის მოადგილე
თამაზ მოდებაძე _____

ლელა მამულაშვილი _____

ბესიკ დათუკიშვილი _____

ზაზა ჭანტურია _____

ავთანდილ ვასაძე _____

შაქრო ჯაფარიძე _____